საბა

2024, ოქტომბერი



საქართველოს კათოლიკეთა ყოვლადწმიდა ბაბილო
THE MONTHLY BULLETIN OF CATHOLICS OF GEORGIA — SABA

N10 (346)

სარჩევი

რედაქტორის გვერდი ... 3-4

კათოლიკე ეკლესია მსოფლიოში..... 5-6

ჩვენი ეკლესია..... 7-8

სოციალური გვერდი - Caritas Georgia 9

სოციალური გვერდი - Iner Georgia..... 10

ჩანართი: I-IV

საბაუნის ქრონიკები 11

სახარების სიხარულის მოწმენი..... 12-13

კონფერენცია..... 14

ახალგაზრდული გვერდი 15

ახალი წიგნები..... 16-17

კათოლიკური კულინარია 18

ინფორმაცია 19

ჩვენი ეკლესიის ცხოვრება

ოქტომბერი

მისიონერთა თვე

4 ოქტომბერი - წმ. ფრანცისკე ასიზელი, ფრანცისკელ მამათა დღესასწაული; მამა იან სნეჟინსკის გახსენება (+2011)

5 ოქტომბერი - წმ. ფაუსტინა კოვალსკა, რუსთავის კათოლიკური ეკლესიის დღეობა

7 ოქტომბერი - სავარდის ღვთისმშობელი, რაბათის ეკლესიის დღეობა

9 ოქტომბერი - მ. პეტრე ხარისჭირაშვილის გახსენება (+1892)

15 ოქტომბერი - მ. მიხეილ თარხნიშვილის გახსენება (+1958)

18 ოქტომბერი - წმ. ლუკა მახარებელის დღესასწაული

20 ოქტომბერი - მისიების მსოფლიო დღე, შესაწირი მისიებისათვის

24 ოქტომბერი - ნ. ჯუზეპე ბალდო, წმ. იოსების მცირე ასულთა დამაარსებელი

25 ოქტომბერი - მ. გაბრიელ ასლანიშვილის გახსენება (+1930)

28 ოქტომბერი - წმ. სიმონ და იუდა მოციქულთა დღესასწაული, სოხუმის კათოლიკური ეკლესიის დღეობა

არაფერი შეცვალო, რათა ყველაფერი ძველებურად დარჩეს?

რა ცუდია, როცა გვესმის, - და ამ პერიოდში ხშირად გაიგონებთ ბევრისგან, - რომ პოლიტიკა „ბინძური“ საქმეა; რას ნიშნავს ეს, თუ არა იმას, რომ პოლიტიკა კარგავს თავის ყველაზე ერთგულ მომხრეებს ანუ მოქალაქეებს? დიახ, რადგანაც „სუფთა“ პოლიტიკა ყველა მოქალაქეს აინტერესებს, რამდენადაც ეს არის „ზრუნვა პოლისზე“, ანუ იმაზე, რაც საერთოა. „პოლიტიკის კეთება“ მსახურების ფორმაა, პასუხისმგებლობის აღება, რომელიც ძალას იძენს რეალობასა და მის საჭიროებებზე ღრმა და გულისხმიერი დაკვირვებისაგან. თუკი ჩვენ ცხოვრება გვიწევს იმ დროში, როდესაც სულ უფრო მეტად ჭირს სირთულეში გზის გაკვლევა და ამ სირთულეში შესაძლო სიკეთის ძიება, სწორედ დღეს არის აუცილებელი, დავუბრუნოთ სიტყვას „პოლიტიკა“ თავისი მშვენიერება.

რა ცუდია, როცა ხვდები, რომ ტრიბუნის ,,ზემოდან გიყურებენ“ დემაგოგიური, ირონიული, ცბიერი, ცრუ და გულუბრყვილო გამონათქვამებითა და მოქმედებებით, თითქოს ამბობენ, რომ საუკეთესონი არიან, რომ ისინი გაიმარჯვებენ... მაშინ, როცა „არაბინძური“ პოლიტიკა არის ის, რომელიც „იწყება ქვემოდან“, გარეუბნებიდან, ხალხის და, განსაკუთრებით, მოსახლეობის უღარიბესი ფენების საჭიროებიდან, არა იმიტომ, რომ მათი ტყავის გაძრობით იშოვონ ფული, არამედ ხალხის პრობლემები გადაჭრან კონკრეტულ სფეროებში, როგორიცაა სკოლა, უნივერსიტეტი, საავადმყოფო, ოჯახი...; რატომ არავინ მიდის ხალხის მოსასმენად აფთიაქების, საავადმყოფოების, მაღაზიების კარებთან... და იქაც არ იძლევა საარჩევნო დაპირებებს?

რა ცუდია, როდესაც ისეთი მნიშვნელოვანი

მამა გაბრიელე ბრაგანტინი CSS
მთავარი რედაქტორი



სტიგმელი;
ეპისკოპოსის ვიკარიუსი ეკუმენიზმისა და კულტურის დარგში; ქუთაისის, გათუმისა და ოზურგეთის საკრებულოთა წინამძღვარი

სიტყვები, როგორიცაა ,,მშვიდობა, ღირსება, კეთილდღეობა“, დღეს გამოიყენება როგორც ზღვარი, როგორც თითქმის მუქარა უფრო ზოგადი მიმართულებებისათვის. სწორი პოლიტიკა უნდა ინარჩუნებდეს მჭიდრო ურთიერთობას სიტყვასა და მოქმედებას შორის: ღირებულებებით, რაც უნდა დაიცვან; პროექტებით, რაც უნდა შესრულდეს; აქტივობებით, რაც უნდა განხორციელდეს. იდეალები მოითხოვენ განხილვას, დებატებს, დახვეწას, გადახედვას, ერთსულოვნებასა და აქტიურ მონაწილეობას.

რა ცუდია, როცა გვესმის სხვებისგან, რომლებიც ჩვენს იდეებს არ იზიარებენ, რომ არ მოგვცემენ ხმას, როგორც მტრებს, მოღალატეებს, ფანატიკოსებს... გარკვეულწილად, ამით ადასტურებენ იმას, რაც გვესმის ჩურჩულით, რომ ადამიანმა შეიძლება დაკარგოს სამუშაო, თუკი ის ხმას არ მისცემს შესაბამისი მითითებით, თუკი მისი ოჯახი... ნუთუ ასე განვითარდება ნამდვილი დემოკრატია? სულ უფრო მეტად ემუქრება მას დემაგოგიის სერიოზული საფრთხე, ზეპიროვნული ინტერესები, ძალაუფლების თამაშები, ადვილად გასამრავლებელი ფული... არადა, დემოკრატია მმართველობის საუკეთესო ფორმად რჩება, ამავე დროს, ყველაზე მომთხოვნ და საპასუხისმგებლო ფორმად.

რა ცუდია, როცა აღარ გაინტერესებს, რა ხდება ან არ ხდება საზოგადოებაში: სად არის ათასობით სტუდენტი, გასულ თვეებში დემონსტრაციებში რომ მონაწილეობდა? იქნებ აღარ არსებობს ის მიზეზები, რის გამოც გამოთქვამდნენ პროტესტს? ნაცვლად ამისა, მოედნები ივსება მიტინგების გასამართავად, ტაშის დასაკვრელად, თავის დასაქნევად... დემოკრატია არის ღირებულება, რომელიც მხოლოდ იმ შემთხვევაში განხორციელდება სრულად, თუ გავრცელდება მთელ საზოგადოებაზე - პარტიებზე, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებზე, ნებაყოფლობით სამსახურზე, პროფკავშირებზე (მაგრამ არსებობენ კი ისინი საქართველოში?) - მკაფიო და რეალური ფორმით. მოქმედმა პოლიტიკამ იცის, რომ მას სჭირდება ყველას დახმარება, გამონაკლისის გარეშე.

რა ცუდია, როცა ხედავ, რომ რელიგია შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც ,,instrumentum regni“ (,,ხელისუფლების ინსტრუმენტად“). იქნებ იმიტომ, რომ დღეს დემოკრატია მყიფეა? რატომ ექვემდებარება იგი მრავალ გარე და შიდა შეტევას, და არა მხოლოდ ,,უცხოური აგენტების“ მხრიდან? საინტერესოა, მაინც ვინ არიან ეს აგენტები, რომლებიც ქვეყნის მთლიანობისა და მშვიდობის წინააღმდეგ აწყობენ შეთქმულებას.

ზუსტად ამ კონტექსტში, პოლიტიკური არჩევნები რჩება მნიშვნელოვან მომენტად ერის ცხოვრებაში, გამომდინარე იქიდან, რომ ყველამ უნდა შეძლოს და გააკეთოს არჩევანი, რითაც გამოხატავს თავის აზრს იმის შესახებ, რაც გაკეთდა აქამდე (ზოგიერთ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, საქებარიც) და როგორი უნდა იყოს უახლოესი მომავალი.

თუმცა, ხშირად ყველაზე მარტივი სათქმელი და გასაკეთებელი ეს არის: „არაფერი შეცვალო, რათა ყველაფერი ძველებურად დარჩეს“. ნუთუ მართლა ასე მოხდება?

რუსუდან ავალიშვილი

უწმიდესი ფრანცისკეს 45-ე სამოციქულო მოგზაურობა

2-13 სექტემბერს უწმიდესმა პაპმა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიისა და ოკეანიის ქვეყნები მოინახულა. ამ ყველაზე ხანგრძლივი მოგზაურობისას ფრანცისკე ეწვია ინდონეზიას, პაპუა-ახალ გვინეას, აღმოსავლეთ ტიმორის დემოკრატიულ რესპუბლიკას და სინგაპურს.

3 სექტემბერს, 13-საათიანი ფრენის შემდეგ, პონტიფექსის თვითმფრინავი ინდონეზიის დედაქალაქ ჯაკარტაში დაეშვა. ნუნციატურაში ფრანცისკეს სხვადასხვა საქველმოქმედო ორგანიზაციის წარმომადგენლები და მათი ბენეფიციარები - ობლები, მოხუცები, ხელმოკლე ოჯახები და ლტოლვილები ელოდნენ. პაპმა ყურადღებით და დიდი თანაგრძნობით მოისმინა მათი ისტორიები, შეკრებილთა შორის იყვნენ ლტოლვილები შრი-ლანკიდან, მიანმიდან, ასევე ჯაკარტელი უსახლკაროები, რომლებიც თავს ნაგვის შეგროვებით და გადახარისხებით ირჩენენ. 4 სექტემბერს უწმიდესი ფრანცისკე საპრეზიდენტო სასახლეში ქვეყნის ხელისუფლების წარმომადგენლებს შეხვდა, შემდეგ კი ადგილობრივ სამღვდელოებასთან შესახვედრად დედაქალაქის საკათედრო ტაძარში გაემართა. საღამოს Grha Pemuda-ს ახალგაზრდულ ცენტრში უწმიდეს პაპს ორასმა ახალგაზრდამ უმასპინძლა. ფრანცისკემ ბოლო დეტალი მიამაგრა ახალგაზრდების მიერ აგებულ მრავალწახნაგოვან კარავს - ერთობისა და მრავალფეროვნების სიმბოლოს. „რა სამწუხარო იქნებოდა, ყველანი რომ ერთნაირები ვყოფილიყავით. მთავარი ისაა, რომ ჩვენ, ასეთმა განსხვავებულებმა, ხელიხელჩაკიდებულებმა დიალოგის გზით ვიარ-ოთ“, - აღნიშნა თავის მიმართვაში უწმიდესმა პაპმა. 5 სექტემბერს პონტიფექსი ისტიქლალის მეჩეთს ეწვია. ჰაჯი ნასარუდინ უმარის მისასალმებელი სიტყვის შემდეგ პაპმა სიხარული გამოთქვა იმის გამო, რომ თაყვანისცემისა და ლოცვის ამ დიდებული სახლის სტუმრობა ერგო. „ძმობის გვირაბი“ (28-მეტრიანი გვირაბი, რომელიც მეჩეთს მის მოპირდაპირედ მდებარე მარიამის ზეცად აღყვანების კათოლიკურ ტაძართან აერთებს) შეხვერდის სივრცეს ქმნის და შესაძლებლობას გვაძლევს დავანახოთ გარშემომყოფთ თანაარსებობის, ურთიერთქმედების, დაახლოების რამდენადმე ქაოტური, მაგრამ შთამაგონებელი მოძრაობა, რომელიც შეიძლება ძმობის ნამდვილ გამოცდილებად იქცეს“, - აღნიშნა უწმიდესმა ფრანცისკემ. პონტიფექსმა და იმამმა ნასარუდინ უმარმა ხელი მოაწერეს ისტიქლალის დეკლარაციას „რელიგიები მშვიდობისა და ქმნილების დასაცავად“, რომელიც დეჰუმანიზაციისა და კლიმატის ცვლილების პრობლემებს მიეძღვნა.

6 სექტემბერს ფრანცისკე პაპუა-ახალ გვინეას ეწვია. მთავრობის სასახლეში პონტიფექსი შეხვდა გენერალ-გუბერნატორს, მთავრობის სხვა წევრებს, საზოგადოებრივი და რელიგიური ორგანიზაციების წარმომადგენლებს. 7 სექტემბერს პაპი ფრანცისკე კარიტასის პროფესიული სასწავლებლის სტუდენტებს გაესაუბრა, შემდეგ კი წმიდა ქალწული მარიამის ტაძარში პაპუა-ახალი გვინეისა და სოლომონის კუნძულების კათოლიკე ღვთისმსახურებს შეხვდა. 8 სექტემბერს ქვეყნის დედაქალაქის, პორტ-მორსბის სტადიონზე პაპმა წმიდა წირვა აღავლინა. „დებო და ძმებო! ალბათ გგონიათ, რომ ოკეანის სივრცეე-

ბი სხვა, მოშორებული ქვეყნების მორწმუნეებისაგან გმიჯნავთ. მაგრამ ეს ასე არ არის. ჩვენ ერთნი ვართ სულიწმიდაში, ღმერთში, და უფალი გვეუბნება: „გულები გახსენით“. სწორედ ესაა მთავარი: გული გავუხსნათ უფალს, დებსა და ძმებს, სახარებას“, - აღნიშნა თავის ქადაგებაში პაპმა. 9 სექტემბერს, დილით, ჯექსონის სახელობის პოტრტ-მორსბის აეროპორტის სხდომათა დარბაზში უწმიდეს პაპთან გამომშვიდობების ცერემონია გაიმართა. ფრანცისკემ მადლობა გადაუხადა ქვეყნის პრემიერ-მინისტრს და დელეგაციის სხვა წევრებს მასპინძლობისა და თბილი მიღებისათვის.

აღმოსავლეთ ტიმორის დედაქალაქის აეროპორტში ფრანცისკეს ქვეყნის პრეზიდენტი, პრემიერ-მინისტრი და წმიდა საყდრის დესპანი, ვოიცეხ ზალუსკი შეხვდნენ. ტრადიციულ ეროვნულ სამოსში გამოწყობილმა ბავშვებმა პაპს ყვავილები და ტიმორული ყელსახვევი - ტაისი მიართვეს. აეროპორტიდან ფრანცისკე სამოციქულო ნუნციატურის რეზიდენციაში გაემართა. აღმოსავლეთ ტიმორში სტუმრობის პირველ დღეს პონტიფექსი საპრეზიდენტო სასახლეში ქვეყნის მეთაურს, ხელისუფლების სხვა წევრებს, საზოგადოებრივი ორგანიზაციების და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს შეხვდა, 10 სექტემბერს კი - ქვეყნის კათოლიკე ღვთისმსახურებს. შეხვედრა უბიწო ჩასახვის საკათედრო ტაძარში გაიმართა. შემდეგ ფრანცისკე ეწვია უნარშეზღუდულ ბავშვთა დილის სკოლას, რომელსაც ქალთა კონგრეგაცია ALMA-ს საერო მისიონერები ემსახურებიან. როგორც ვიცით, პაპი ფრანცისკე იეზუიტთა ორდენის წევრია. თავისი სამოციქულო მოგზაურობებისას იგი დიდ ინტერესს იჩენს იმის მიმართ, თუ როგორ მსახურებენ მისი თანამოძმეები სხვადასხვა ქვეყანაში. ამჯერადაც, სამოციქულო ნუნციატურაში იგი ქრისტეს საზოგადოების წარმომადგენლებს შეხვდა. შეხვედრა ერთობლივი ლოცვით და სამოციქულო კურთხევით დასრულდა. 11 სექტემბერს, დილის წირვის შემდეგ, უწმიდესი ფრანცისკე ნუნციატურის თანამშრომლებს დაემშვიდობა და გაემართა დედაქალაქის კონფერენც-ცენტრისაკენ, სადაც აღმოსავლეთ ტიმორის ახალგაზრდობას შეხვდა.

ნაშუადღევს პონტიფექსის თვითმფრინავი სინგაპურში, ჩანგის აეროპორტში დაეშვა. მისასალმებელი ცერემონიის შემდეგ ფრანცისკე გაემართა წმიდა ფრანსისკო ხავიერის სულიერ წრთვნათა ცენტრში, სადაც იეზუიტთა ორდენის ადგილობრივი მისიის წარმომადგენლებს შეხვდა. 12 სექტემბერს სინგაპურის ეროვნულ უნივერსიტეტში პაპი პოლიტიკურ და რელიგიურ ლიდერებს, დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს, მეწარმეებს და კულტურის მოღვაწეებს შეხვდა. „სინგაპური ეთნოსების, კულტურებისა და რელიგიების მოზაიკაა. ურთიერთპატივისცემა, თანამშრომლობა, დიალოგი, აზრის გამოხატვის თავისუფლება და კანონის დაცვა სინგაპურის წარმატების, სტაბილურობისა და მდგრადი განვითარების წინაპირობაა“, - აღნიშნა თავის სიტყვაში პონტიფექსმა. ყველაზე ხანგრძლივი, 45-ე სამოციქულო მოგზაურობის დასკვნითი მოვლენა სინგაპურის კათოლიკურ კოლეჯში ახალგაზდობასთან შეხვედრა იყო. ნაშუადღევს უწმიდესი ფრანცისკე რომისკენ გაემართა.

 ზოია კაჭკაჭიშვილი

სულიერი ვარჯიშები უფროსი ასაკის კათოლიკე მორწმუნეთათვის

ამა წლის 2-6 სექტემბერს კახეთის სოფელ გურგენიანში, მამა მაჩეი მამაის ხელმძღვანელობით, მოეწყო სულიერი ვარჯიშები თბილისის წმიდა მოციქულთა პეტრესა და პავლეს ეკლესიის მრევლის, ცოცხალი სავარდის წევრებისა და გორისა და ბეთლემის კათოლიკური ეკლესიის მრევლის მონაწილეობით.

ყოველ დღეს ვიწყებდით დილის 8 საათზე დილის ქებანით; ვმონაწილეობდით წმიდა წირვაში, რომელიც აღევლინებოდა წმიდა ნინოს კათოლიკურ ეკლესიაში. წირვის შემდეგ, იესოს უწმიდესი ხორცისა და სისხლის მადლით გაძლიერებულნი, მივდიოდით საქართველოს ღირსშესანიშნავ ადგილთა მოსანახულებლად; ვსაუბრობდით წმიდა წერილის შესახებ და ერთმანეთს ვუზიარებდით საკუთარ მოსაზრებებს. საღამოს კი ვიკრიბებოდით ეკლესიაში და ვლოცულობდით სავარდს.

გვსურს, დიდი მადლობა გადავუხადოთ მეუფე ჯუზეპე პაზოტოს, მამა მაჩეი მამაის, მამა ანდრია გრაჩეკს და ყველას, ვინც წვლილი შეიტანა ამ დღეების სულიერად გამდიდრებასა და გალამაზებაში.

ეკა ხითარიშვილი

ღვთისმშობლობა ვალეში

8 სექტემბერს ვალეს სამრევლოში ღვთისმშობლის შობის დღესასწაული განსაკუთრებულად აღინიშნა, რადგან ვალეს ტაძარი მარიამის შობის სახელზეა ნაკურთხი. მისი წინამძღვარია მამა პაატა ქომოშვილი.

ეპისკოპოსმა ჯუზეპე პაზოტომ აღავლინა საზეიმო ლიტურგია, რომელშიც მონაწილეობდნენ მღვდლები, მონაზვნები, დიაკვნები სხვადასხვა სამრევლოდან; მრევლი თბილისიდან, ქუთაისიდან, გორიდან, მესხეთის სოფლებიდან: ხიზაბავრიდან, უდიდან, არლიდან, ახალციხიდან, აბასთუმნიდან, წყალთბილადან; ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაოხრებიდან ჩვენი მეზობელი კათოლიკე სომხები.

ვალეს სამრევლო განსაკუთრებულად მოემზადა ზეიმისთვის, გუნდმა დიდი ძალისხმევა გამოიჩინა წმიდა წირვის გასალამაზებლად. სადღესასწაულო წირვის დასასრულს მამა პაატამ მადლობა გადაუხადა მეუფეს, მღვდლებს და ყველა მობრძანებულ სტუმარს.

შემდეგ კი ტაძრის მიმდებარედ არსებულ სკვერში მოეწყო მცირე ღონისძიება, რომელშიც მონაწილეობდნენ სამრევლოსა და კარიტასის ბენეფიციარები. ღონისძიების დასასრულს, მამა პაატამ სტუმრები მიიწვია ფურშეტზე, რომლის მომზადებაში წვლილი შეიტანეს კატეხისტებმა, ვალეს ბავშვთა დღის ცენტრის თანამშრომლებმა და მრევლმა.

მსურს, მადლობა გადავუხადო მამა პაატას გვერდში დგომისა და ორგანიზებისათვის.

მოხალისეობა საქართველოს კარიტასში

27 ივლისს ვუმასპინძლეთ პოლონელ და ქართველ მოხალისეებს საქართველოს კარიტასის დასავლეთ საქართველოს პროგრამის ოფისში.

შეხვედრის ფარგლებში პოლონელმა და ქართველმა მოხალისეებმა გაგვიზიარეს თავიანთი გამოცდილება და ინფორმაცია წარმატებული პრაქტიკების შესახებ. ასევე, დაიგეგმა სამომავლო თანამშრომლობის მიმართულებები.

დიდ მადლობას ვუხდით შეხვედრის ორგანიზატორებსა და მონაწილეებს. ჩვენს მოხალისეებს კი ვუსურვებთ აქტიური და წარმატებული მოხალისეობრივი საქმიანობის გაგრძელებას.

ოჯახების ბანაკი

26 აგვისტოდან 1-ლი სექტემბრის ჩათვლით, ქობულეთში ჩატარდა ოჯახების ბანაკი, რომლის თემა იყო „ქრისტიანულ ფასეულობებზე აგებული ოჯახი“. ბანაკში მონაწილეობდა საქართველოს სხვადასხვა კათოლიკური საკრებულოდან (ქუთაისი, თბილისი, ვალე, რუსთავი, გორი) ჩამოსული ცამეტი წყვილი, ბავშვებთან ერთად.

ჩემმა ოჯახმა ასეთი სახის ბანაკში მეორედ მიიღო მონაწილეობა. პირველად ათი-თორმეტი წლის წინ - ხელვაჩაურში. მაშინ ბავშვები პატარები იყვნენ, ახლა კი ჩემი უფროსი ქალიშვილი ანიმატორის სტატუსით ჩაერთო ამ პროექტში. ემოციური იყო წყვილებთან შეხვედრა, რომლებიც ამდენი ხნის შემდეგ ვნახეთ.

დილა ლოცვით იწყებოდა, საუზმის შემდეგ კი დღე გრძელდებოდა საინტერესო თემატური შეხვედრებით. მამა ზურაბი გვესაუბრებოდა ოჯახის წევრების ერთად ლოცვის, წირვაზე ერთად სიარულის, შვილების ქრისტიანული რწმენითა და სიყვარულით აღზრდის მნიშვნელობაზე.

სტუმრად გვყავდა მოწვეული ქალბატონი მანანა ბურჯანაძე, უფროსი მასწავლებელი ხონიდან, რომელიც გვესაუბრა ჩვენი შვილების სასკოლო ცხოვრებაში მშობლების ჩართულობის მნიშვნელობაზე. ძალიან საინტერესო იყო შეხვედრა „ინერ ჯორჯიას“ მეთოდისტებთან, ლალი ჩარკვიანთან და ნინო ჟღენტთან. ისინი გვესაუბრნენ ოჯახის დაგეგმვის ბუნებრივ მეთოდსა და რეპროდუქციულ ჯანმრთელობაზე.

ამინდებიც მშვენიერი დაემთხვა, თავისუფალ დროს ვატარებდით ზღვაზე, ჩვენს ოჯახებთან ერთად. ამ დღეებმა ნაყოფიერად და სასიამოვნოდ ჩაიარა. დიდი მადლობა და ანა მარიას, მამა ზურაბს, „ინერ ჯორჯიას“, ჭიათურიდან მოწვეულ მზარეულ დაშას, რომელიც გვიმასპინძლდებოდა გემრიელი კერძებით, და ყველას, ვინც მონაწილეობდა ამ ბანაკის ორგანიზებაში.

ირმა მიზანდარი

სახარების სიხარული მახარებელთა ფერხთით

„რა მშვენიერია მთებზე ფერხნი მახარებლისა, მშვიდობის მაუწყებლისა, სიკეთის მახარობლისა, ხსნის მაუწყებლისა, რომელიც ეუბნება სიონს: „გამეფდა შენი ღმერთი!“ ისმინე ხმა შენი გუშაგისა!“ (ეს.52,7-8). ესაია წინასწარმეტყველის ეს ცნობილი უწყება ცხადად გვაჩვენებს მისიონერის სახეს, რომელიც მსოფლიოს გზებზე დადის და ღმერთის სამეფოს შესახებ აუწყებს ყველას სახარებას. ამიტომაც არის ფეხი გზის, მოგზაურობის სიმბოლო: თავად იესო არა მხოლოდ საუბრობს და მოქმედებს, არამედ გამუდმებით იმყოფება სამოციქულო მოგზაურობაში, ისე რომ, მას მუდმივი საცხოვრებელიც კი არ გააჩნია, ქვაც *„არა აქვს თავის მისადრეკელი“* (მათ. 8. 20).

ყველა სინოპტიკოსის თანახმად, მოწაფე უნდა მიყვებოდეს მოძღვარს ისტორიის ქვიან ბილიკებზე, როგორც ამას ამოწმობს მახარებელი მათე ე.წ. „მისიონერულ საუბარში“ (მათ.10), იმავეს იმეორებს ლუკა (10.1-12). მკაფიო და ნათელია მკვდრეთით აღმდგარის მიერ მოწაფეებისათვის დატოვებული უკანასკნელი ანდერძი: *„წადით და მოიმოწაფეთ ყველა ხალხი, მონათლეთ ისინი მამისა და ძისა და სულიწმიდის სახელით, ასწავლეთ მათ ყოველივეს დაცვა, რაც მე გამცნეთ“* (მათ. 28,19-20). და კიდევ, მახარებელი მარკოზი საუბრობს ეშმაკისეული ბოროტებისაგან განთავისუფლებისა და სნეულებათაგან განკურნების მისიაზე (16,15-18). ამიტომაც ტოვებს ეკლესია საკულტო ადგილს, სადაც ევქარისტიის აღსანიშნავად შეკრებილა, როგორც უკანასკნელ სერობაზე. დღესაც, ყოველი კლასის, მდგომარეობისა და ასაკის რამდენი ადამიანი სწირავს თავის ცხოვრებას, სრულად თუ ნაწილობრივ, სახარების უწყებას; მაგალითად, მახსენდება მორწმუნეთა ჯგუფები, ამ მიზანს თავიანთი შვებულების ნაწილი რომ დაუთმო.

გადმოცემის თანახმად, ევსევი კესარიელის (,,ეკლესიის ისტორია“, III წიგნი) უწყებით, მოციქულები, სულთმოფენობის შემდგომ, გაიფანტნენ მსოფლიოს ყველა კუთხეში: „ამასობაში ჩვენი მაცხოვრის წმიდა მოციქულნი და მოწაფენი მთელ მსოფლიოში მიმოიფანტნენ. პართია თომას მიენდო, სკვითია - ანდრიას, ხოლო აზია - იოანეს, რომელიც, იქ ცხოვრების გარკვეული პერიოდის შემდეგ, ეფესოში გარდაიცვალა. პეტრე ქადაგებდა პონტოში, გალათეაში, ბითინიაში, კაპადოკიასა და აზიაში გაფანტულ ებრაელთა შორის, ბოლოს კი რომში წავიდა... რისი თქმა შეგვიძლია პავლეზე, რომელიც ქრისტეს სახარებას ქადაგებდა იერუსალიმიდან ილირიამდე და მოწამებრივად აღესრულა რომში ნერონის დროს? ამ ფაქტების შესახებ ორიგენე მოგვითხრობს დაბადების შესახებ კომენტარების მესამე ტომში“. შუა საუკუნეებში აღინიშნებოდა კიდეც ლიტურგიული დღესასწაული (15 ივლისი), რომელიც წუთისოფელში მოციქულთა გასვლას ეძღვნებოდა და მოიხსენებდა მათ მისიონერულ საქმიანობასა და სხვადასხვა სამოციქულო საყდრის დაარსებას. ეს დღესასწაული არ შედიოდა პაპ პიუს V-ის მიერ 1570 წელს გამოცემულ რომაულ მესალეში და არც რომაული კალენდრის შემდგომ-დროინდელ გამოცემებში.

ახლა კონკრეტულად მიმოვიხილოთ მათი მისიონერული საქმიანობა მსოფლიოში იმ დროისათვის ცნობილ მხარეებში:

1. **პეტრე: ანტიოქიიდან რომამდე,** გადმოცემის თანახმად, პეტრე ევანგელურ და მისიონერულ მოღვაწეობას ეწეოდა ებრაელთა შორის, თვით ბაბილონამდე და პირველი იყო, ვინც ანტიოქიაში გაემგზავრა და დააარსა მორწმუნეთა საკრებულო. პეტრე იქ დიდხანს არ დარჩენილა, მაგრამ მას ხშირად მოიხსენიებენ, როგორ ანტიოქიის პირველ ეპისკოპოსს. შესაძლე-

ბელია, რომ მან გარკვეული ხანი კორინთოში დაჰყო, ვიდრე რომში ჩავიდოდა. იქ დახმარება გაუწია ქრისტიანული საკრებულოს ჩამოყალიბებაში, შემდეგ კი მოწამებრივად აღესრულა რომში, ნერონის ცირკში, დაახლოებით 67 წელს, ჯვარზე თავდაყირა გაკრული: იგი თავს უღირსად მიიჩნევდა თავისი მოძღვრის მსგავსად წამებულიყო. მის საფლავზე, მისი ხსოვნის პატივსაცემად აიგო წმიდა პეტრეს ბაზილიკა.

2. **ანდრია:** მრავალი გადმოცემის თანახმად, საბერძნეთის მახარებელი; იგი საბერძნეთის საკრებულოებს უქადაგებდა ქრისტეს სახარებას და მოწამებრივად აღესრულა პატრაში (საბერძნეთი), აცვეს X ფორმის ჯვარზე (აქედან მომდინარეობს სახელწოდება „წმიდა ანდრიას ჯვარი“), მანაც უღირსად მიიჩნია თავი, ქრისტეს მსგავსად მომკვდარიყო ჯვარზე. მიიჩნევა, რომ იგი მოწამებრივად აღესრულა 63 წლის 30 ნოემბერს, ნერონის იმპერიის დროს. მოგვიანებით, მისი წმიდა რელიკვიები იტალიაში, ამალფის საკათედრო ტაძარში გადაასვენეს.

3. **იაკობ ზებედესი:** ამბობენ, რომ იაკობი იყო პირველი მოციქული, რომელიც მოწამებრივად აღესრულა. მოციქულთა საქმეების (საქმე 12,1-2) მიხედვით, იაკობს საქადაგებლად წილად ხვდა ხმელთაშუა ზღვისპირა ქვეყნები, კერძოდ, ესპანეთი. შემდეგ იგი კვლავ იერუსალიმში დაბრუნდა და აღესრულა 44 წელს. სიკვდილის შემდეგ მისი სხეული გადაასვენეს ქალაქში, რომელსაც მის პატივსაცემად სანტიაგო დე კომპოსტელა ეწოდა. საუკუნეთა განმავლობაში მისი საფლავი მომლოცველობის ადგილი იყო, და დღესაც ასეა.

4. **წმიდა იოანე:** მას მიაწერენ (გარკვეული განსხვავებებით) მეოთხე სახარების ავტორობას, სამ „კათოლიკურ ეპისტოლეს“ და აპოკალიფსის წიგნს; იგი ერთადერთია მოციქულთა შორის, რომელიც, გადმოცემის თანახმად, მოწამებრივად არ აღსრულებულა (თუმცა არის ისეთი გადმოცემაც, რომლის მიხედვითაც იგი ადუღებულ ზეთში ჩააგდეს და აწამეს); ქადაგებდა მცირე აზიაში. გარდაიცვალა დაახლოებით 100 წელს, დაკრძალეს ეფესოსთან ახლოს; მის სამარხზე ააგეს სამლოცველო, რომელიც V საუკუნეში დიდი ბაზილიკით შეიცვალა. 1920 წელს არქეოლოგებმა გათხარეს ბაზილიკის ნაშთები და თავად იოანეს საფლავს მიაგნეს, მაგრამ ის ცარიელი დახვდათ.

5. **ფილიპე:** სულთმოფენობის შემდგომ წლებში ფილიპე ბერძნულ თემებს (თურქეთი, მოლდოვა, უნგრეთი, უკრაინა და აღმოსავლეთ რუსეთი) აუწყებდა სახარებას. ჩვენ ცოტა რამ ვიცით მისი თავგადასავლების შესახებ, გარდა იმისა, რომ იგი მოწამებრივად აღესრულა იერაპოლისში, სადაც სიცოცხლის ბოლო წლებში იმყოფებოდა თავისი სამი ქალიშვილის გარემოცვაში: დაახლოებით 80 წელს, დომიციანეს იმპერიის დროს, 87 წლის ფილიპე ჯერ თავდაყირა აცვეს ჯვარს, შემდეგ ჩაქოლეს. პოლიკრატე ეფესელის (რომლის შესახებ გვაუწყებს ევსევი) მოწმობით, მისი საფლავი მდებარეობს იერაპოლისში. 2011 წელს იტალიელ არქეოლოგთა ჯგუფმა განაცხადა, რომ პამუკალეში, ძველ იერაპოლისში, აღმოაჩინეს მოციქულ ფილიპეს საფლავი, თუმცა მისი წმიდა ნაწილები დასვენებულია რომის წმიდა მოციქულთა ეკლესიაში.

6. **ბართლომე:** ძალიან მწირი ცნობები მოიპოვება ბართლომეს მქადაგებლური მოღვაწეობის შესახებ. ერთ-ერთი ტრადიციის თანახმად, იგი ფილიპესთან ერთად ქადაგებდა სომხეთში, ასევე ფრიგიასა და იერაპოლისში. ისინი, წმიდა იუდა თადეოსთან ერთად, სომხური სამოციქულო ეკლესიის მფარველ წმიდანებად მიიჩნევიან. ბართლომეს მოწამებრივ აღსასრულს უკავშირებენ სომხეთის მეფე ასტიაგესს, რომელმაც ის ცოცხალი გაატყავა დანით. სხვა ტრადიციის მიხედვით, ბართლომემ ინდოეთამდეც კი მიაღწია. მისი წმიდა რელიკვიები ამჟამად რომში, ტიბრის კუნძულზე, სან ბარტოლომეოს ბაზილიკაში ინახება.

7. **თომა:** ,,ურწმუნო“ მოციქული სახარებას აუწყებდა პართიელებს, მიდიელებს, სპარსელებსა და ჰირკანელებს. მოგვიანებით, მან გადაინაცვლა ინდოეთში, სადაც აღესრულა კიდეც, დაახლოებით 72 წლის ასაკში; სავარაუდოდ, იგი შუბებით იქნა განგმირული. არსებობს ხალხური გადმოცემა, რომლის მიხედვითაც მან ქრისტიანად მოაქცია ადგილობრივი ,,ურწმუნო“ მეფე. თომას საფლავი ინდოეთის ქალაქ მაილაპორში მდებარეობს.

8. **მათე:** ოთხი მახარებლიდან ერთ-ერთი, უპირველესად, ცნობილია თავისი ნაშრომებით. ევსევი კესარიელის ცნობით, იგი თხუთმეტი წლის განმავლობაში ქად-

აგებდა იუდეაში, აქ დაწერა თავისი სახარება, დაახლოებით 80 წელს. მოგვიანებით იგი გაემართა ეთიოპიაში, სადაც მოწამებრივად აღესრულა, მას მახვილით მოჰკვეთეს თავი. ეპიფანე სალამინელი ამტკიცებს, რომ მათე გარდაიცვალა იერაპოლისში. ტრადიციის თანახმად, მისი ნეშტი დასვენებულია იტალიაში, ქალაქ სალერნოში.

9. **იაკობ მცირე:** როდესაც მოციქულები მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში გაიფანტნენ, იაკობი იერუსალიმში დარჩა და წმიდა ქალაქის პირველი ეპისკოპოსი გახდა. ამ ხარისხში იგი რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში მსახურებდა, ვიდრე 62 წელს ებრაელთა ხელისუფლებამ ქვებით არ ჩაქოლა. გადმოცემის მიხედვით, მას მოსთხოვეს უარეყო იესო. ამ დროს იაკობი ტაძრის საკურთხეველთან იმყოფებოდა. განრისხებულმა ფარისევლებმა და მწიგნობრებმა იგი ტაძრიდან გამოათრიეს და ქვები დაუშინეს; ჯერ კიდევ ცოცხლად დარჩენილ იაკობს თავში კეტი ჩაარტყეს, რათა მომკვდარიყო. მისი რამდენიმე წმიდა ნაწილი რომის წმიდა მოციქულთა ბაზილიკაშია დასვენებული, საფლავი კი განთავსებულია იერუსალიმის წმიდა იაკობის საკათედრო ტაძარში. ამბობენ, რომ იაკობი ქადაგებდა ასევე პალესტინასა და ეგვიპტეში.



10. **სვიმონ მოშურნე კანანელი:** მას შემდეგ, რაც იერუსალიმის ეპისკოპოსი გახდა, იგი ჯვარს აცვეს სამარიაში სახარების გავრცელების გამო. როგორც ამბობენ, მან დიდ ბრიტანეთშიც კი ჩააღწია საქადაგებლად. სვიმონი ხშირად არის წარმოდგენილი იუდა თადეოსთან, ამიტომ ფიქრობენ, რომ ისინი ერთად ქადაგებდნენ. ეს, ნაწილობრივ, განპირობებულია ტრადიციით, რომლის მიხედვითაც ორივე მოწამებრივად აღესრულა ბეირუთში ერთსა და იმავე წელს. მისი წმიდა რელიკვიის ნაწილი რომში წმიდა პეტრეს ბაზილიკაშია დაცული.



11. **მატათია:** გადმოცემის თანახმად, „შემცვლელ მოციქულად“ არჩევის შემდეგ, მატათიამ დააარსა ეკლესია კაბადოკიაში და ქადაგებდა კასპიის ზღვის სანაპიროებზე მდებარე ქრისტიანულ საკრებულოებში. იგი მოწამებრივად აღესრულა კოლხეთში, ადგილობრივმა წარმართებმა მას თავი მოჰკვეთეს. მისი რელიკვიების ნაწილი რომში ჩააბრძანა წმიდა ელენემ.

12. **იუდა თადეოსი (იუდა იაკობისი):** აღმოსავლური ტრადიციის თანახმად, მან პირველმა იქადაგა სახარება ედესაში, მდინარე ევფრატთან და მრავალი ადამიანი განკურნა; მისი სასწაულების წყალობით, ბევრი მოექცა რწმენად. ხოლო დასავლური ტრადიციის თანახმად, იგი მესოპოტამიაშიც ქადაგებდა, შემდეგ კი სვიმონ კანანელს შეუერთდა და რამდენიმე წლის განმავლობაში სპარსეთში ქადაგებდა, მათ შორის, დღევანდელი სომხეთის ტერიტორიაზეც. მოწამებრივად აღესრულა დღევანდელ ირანში, დაახლოებით 62 წელს, მასაც თავი მოჰკვეთეს. მისი წმიდა ნეშტი ამჟამად რომში, წმიდა პეტრეს ბაზილიკაშია დაცული. სომხური ეკლესია მას „სომეხთა მოციქულს“ უწოდებს. ამავე სახელწოდების წერილის ავტორად მიიჩნევა იუდა თადეოსი.

ქრისტეს უწყების გავრცელება მსოფლიოში

მისიონერული ისტორია შეიძლება დაიყოს ხუთ ეტაპად.

პირველი ეტაპი (II-XV) - ამ პერიოდში ევროპის დიდი ნაწილი გაქრისტიანდა და ქრისტიანობამ საბოლოოდ მოიპოვა თავისუფლება; პაპმა გრეგორიუს დიდმა 596 წელს ბერების ჯგუფი გაგზავნა ინგლისში: მათ შეისწავლეს ადგილობრივი მოსახლეობის (ანგლები და საქსონები) ენა, ადათ-წესები და რელიგია. ორასი წლის შემდეგ ინგლისელმა მისიონერმა ბონიფაციუსმა დაიწყო რაინის აღმოსავლეთით მცხოვრები გერმანიკული მოსახლეობის ევანგელიზაცია. IX ს-ში კი აღმოსავლეთის იმპერიამ ბერძენ ბერებს, კირილესა და მეთოდეს, სლავი ხალხის გაქრისტიანება მიანდო.

მისიონერობის განსხვავებული და უფრო თანმიმდევრული ეტაპი იწყება XIII საუკუნიდან, როდესაც ახალი დაარსებული იყო ფრანცისკელთა და დომინიკელთა ორდენები: ეს იყო ძლიერი ბიძგი აღმოსავლეთისაკენ, რამდენადაც დასავლეთი გამოყოფილი იყო აღმოსავლეთისაგან; ამ მისიის მთავარ მოქმედ გმირებს სასულიერო პირები წარმოადგენდნენ. ისინი ერთდროულად იყვნენ მისიონერები, დიპლომატები და მკვლევრები. XIV საუკუნეში მონღოლთა იმპერიის ევანგელიზაციაში ჩართული მისიები თემურლენგის შემოსევამ

ჩაშალა, ჩინეთში კი მინგის დინასტიის გაძლიერებამ ამ საქმიანობას წერტილი დაუსვა.

მეორე ეტაპი (XVI-XVIII) - ტერიტორიების აღმოჩენამ ამერიკაში, ასევე აფრიკასა და აზიაში და პირდაპირმა კოლონიზაციამ მისიონერული საქმიანობა უფრო მეტად შეაგულიანა. ევანგელიზაციის მისია დაევალა მოწესე ორდენებს, ფრანცისკელებს, დომინიკელებს, კაპუცინებს და ა.შ. იეზუიტების ორდენმა ახალი პერსპექტივები დასახა: გავიხსენოთ reducciónes ლათინურ ამერიკაში (კოლონიალურ ამერიკაში ცენტრი, სადაც გაფანტული ძირძველი ხალხი იყო გაერთიანებული ევანგელიზაციისა და კულტურული ასიმილაციის მიზნით). XVI საუკუნეში მისიონერულ მოღვაწეობას ინტენსიური სახე ჰქონდა მთელ მსოფლიოში: ჩინეთში იეზუიტმა მატეო რიჩიმ მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია; იაპონიაში იღვწოდა ასევე იეზუიტი, წმიდა ფრანცისკე სავერიო, სწორედ მან შეიტანა იქ ქრისტიანობა. ტრენტოს კრების (1563) დასრულების შემდეგ, სხვა მისიონერული მოდელებიც განისაზღვრა და დაიგეგმა ინიციატივები, რომლებიც მიზნად ისახავდა ქრისტიანული ტერიტორიების მოსახლეობის ხელახალ ევანგელიზაციას. კონგრეგაციის Propaganda Fide დაარსებით (1622 წ) ქრისტიანული მისიები მკაცრად იქნა ორგანიზებული რომის მიერ. XVIII ს-ში, განმანათლებლობის გავრცელებასთან ერთად, მისიონერული საქმიანობა რამდენჯერმე შეფერხდა. 1820-იან წლებში ახალმა ტალღამ გამოაცოცხლა მისიონერული მოძრაობა. შეიქმნა ახალი კონგრეგაციები, რომლებიც მიზნად მხოლოდ მისიონერულ საქმიანობას ისახავდნენ.

მესამე ეტაპი (XIX-XX) - განსხვავებით წინა მისიებისაგან, რომელიც ეფუძნებოდა არისტოკრატიის მხარდაჭერას და დაწინაურდა სამეფო პროტექტორატის წყალობით, XIX ს-ის მისიები ეყრდნობოდა მისიონერულ ასოციაციებს და ფინანსდებოდა ძირითადად ყველა სოციალური კლასის მოკრძალებული შემოწირულობებით.

მეოთხე ეტაპი დაიწყო პირველი მსოფლიო ომის კატასტროფის ფონზე და ცხადი გახდა, რომ მისიები მჭიდროდ იყვნენ გადაჯაჭვული იმპერიალიზმთან არაევროპულ ქვეყნებში. პაპი ბენედიქტე XV თავისი სამოციქულო წერილით Maximum Illud (1919), რომელიც მისიონერულ საქმიანობას ეხებოდა, მიუთითებდა კათოლიკე ეკლესიის კულტურულ ფესვებზე და მიზნად ისახავდა ადგილობრივი სამღვდელოების მომზადებას იმ ქვეყნებში, სადაც მისიონერები იმყოფებოდნენ. იგი ასევე გმობდა ეროვნულ და ეკონომიკურ ინტერესებს და აწესებდა მკაცრ ნეიტრალიტეტს პოლიტიკურ საკითხებში.


წმ. პეტრე

მეხუთე ეტაპი მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ (1945) დაიწყო, ამ დროისათვის მსოფლიოში ზოგადი ვითარება რადიკალურად შეიცვალა აფრიკასა და აზიაში კოლონიების დაშლის გამო. მისიონერთა გასვლა ხდებოდა განვითარებად ქვეყნებში, სადაც აარსებდნენ ადგილობრივ ეკლესიებს, რომლებიც ხელს უწყობდნენ ახალი ტიპის მისიონერულ საქმიანობას, რაც ასევე შთაგონებული იყო ვატიკანის მეორე კრების მიერ ნაკარნახევი ღიაობითა და განახლებული გულისხმიერებით. ახალ მისიებს ახასიათებდა ეკუმენური სულისკვეთება ანუ მზაობა სხვა რელიგიური კონფესიების მისაღებად, ის ასევე ატარებდა მკვეთრად ჰუმანიტარულ-საგანმანათლებლო ხასიათს. დღესდღეობით მისიონერული საქმიანობა გაძლიერებულია მრავალ განვითარებად ქვეყანაში. თუმცა ის არაერთ დაბრკოლებას აწყდება პლანეტის სხვადასხვა კუთხეში, მათ შორის, ძალადობას. ყოველწლიურად აღინიშნება წლის მანძილზე დაღუპულ მისიონერ მოწამეთა დღე (24 მარტი). დღეს საუბარია ახალ ევანგელიზაციაზე ძველი ქრისტიანული ტრადიციის მქონე ქვეყნებში, რელიგიათა შორის დიალოგზე, როგორც სახარების უწყების ერთ-ერთ ფორმაზე და ქრისტიანულ ეკლესიებს შორის ეკუმენურ ვალდებულებაზე, რათა სახარების უწყება უფრო სარწმუნო გახდეს.

გზავნილი, მიძღვნილი მისიონერთა მსოფლიო დღისადმი, რომელიც 20 ოქტომბერს აღინიშნება, დასათაურებულია: ***„გადით გზაჯვარედინებზე და ყველა შემხვედრი მოიწვიეთ ქორწილში“*** (მათ. 22, 9). თუკი ამ საკვანძო სიტყვაზე დავფიქრდებით, რასაც გვაუწყებს ეს იგავი და თავად იესოს ცხოვრება, შევძლებთ გამოვყოთ ევანგელიზაციის რამდენიმე მნიშვნელოვანი ასპექტი თანამედროვე სამყაროში: 1. „გადით და მოიწვიეთ!“. მისია, როგორც მუხლჩაუხრელი სიარული და მოწვევა უფლის დღესასწაულზე. 2. სუფრაზე. ქრისტესა და ეკლესიის მისიის ესქატოლოგიური და ევქარისტიული პერსპექტივა. 3. „ყველა“. ქრისტეს მოწაფეებისა და მთელი სინოდურ-მისიონერული ეკლესიის საყოველთაო მისია. **ყველას გილოცავთ მისიონერულ თვეს!**

 ეკრანა პარუნაშვილი

საბაუნის სტუდენტური საცხოვრებელი გაიხსნა

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი 2024-25 სასწავლო წელს შესანიშნავი სიახლით შეხვდა. საბაუნის სტუდენტებს საშუალება აქვთ ისარგებლონ სტუდენტური საერთო საცხოვრებლით, რომელიც უნივერსიტეტთან ახლოს, პოლიტკოვსკაიას ქუჩაზე მდებარეობს.

სწორედ მიმდინარე წლის 2 სექტემბერს გაიმართა სტუდენტური საცხოვრებლის საზეიმო გახსნის ცერემონია, რომელსაც, გარდა საბაუნის სტუდენტებისა და პროფესორებისა, უნივერსიტეტის მრჩეველთა საბჭოს უცხოელი წევრებიც ესწრებოდნენ. სტუმრებს შორის იყო საქველმოქმედო ორგანიზაცია ,,რენოვაბისის" აღმასრულებელი დირექტორი თომას შვარცი, რომელმაც მისასალმებელ სიტყვაში კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი ,,რენოვაბისის" მზაობას, მხარში დაუდგეს უნივერსიტეტს საზოგადო სიკეთეზე ორიენტირებული პროექტების განხორციელებაში.

ღონისძიების დასაწყისში დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართეს უნივერსიტეტის დამფუძნებელმა, მეუფე ჯუზეპე პაზოტომ; რექტორმა, მამა აკაკი ჭელიძემ და მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარემ, ვაჟა ვარდიძემ. თავის სიტყვაში მეუფე ჯუზეპემ იმედი გამოთქვა, რომ ეს ადგილი სტუდენტებისათვის იქნება არა მხოლოდ ღამის გასათევი, არამედ სივრცე, სადაც ახალგაზრდები შექმნიან ურთიერთპატივისცემის, აზრთა გაზიარებისა და მხარდაჭერის გარემოს.

საცხოვრებელში სტუდენტებს დახვდებათ ყველაფერი, რაც საჭიროა წარმატებული სწავლისა და კომფორტული ცხოვრებისათვის, კერძოდ: კეთილმოწყობილი ოთახები: პირადი სივრცე, სადაც ისინი შეძლებენ დასვენებას და მშვიდ გარემოში მეცადინეობას; ფიტნეს დარბაზი: აქ ჯანსაღი ცხოვრების წესის მოყვარულებს შეუძლიათ იზრუნონ ფიზიკურ ფორმაზე სწავლის პერიოდში; სასწავლო და დასასვენებელი სივრცეები: სპეციალურად მოწყობილი ადგილები, სადაც სტუდენტები შეძლებენ მშვიდად მეცადინეობას ან თანაკურსელებთან ერთად პროექტებზე მუშაობას; პარკინგი; ეზო და ვერანდები: იდეალური ადგილები დასვენებისა და მეგობრებთან ურთიერთობისათვის სუფთა ჰაერზე.

საბაუნის სტუდენტური საცხოვრებელის მშენებლობა დაფინანსებულია გერმანული საქველმოქმედო ორგანიზაცია ,,რენოვაბისის" მიერ და გათვალისწინებულია ასორმოცდაათ სტუდენტზე.

ჯანლუკა ფირეტი (GianLuca Firetti) დაიბადა 1994 წლის 8 სექტემბერს იტალიის ქალაქ კრემონაში. იგი ცხოვრობდა სოსპიროში, კრემონის პროვინციაში, მშობლებთან და ძმასთან ერთად. 2012 წლის სექტემბერში 18 წლის ჯანლუკას ცხოვრება მოულოდნელად შეიცვალა. ფეხბურთის მატჩის დროს, მან უეცრად ტკივილი იგრძნო მარჯვენა მუხლში. გამოკვლევების შედეგად მას დაუდგინდა ოსტეოსარკომა, ძვლების კიბო. ,,ჯანის რეაქცია ბუნებრივი იყო: იგი ატირდა და ასე გამოხატა თავისი გრძნობები, - იხსენებს ფედერიკო, ჯანლუკას ძმა, - პირველივე წუთიდან მიხვდა, რომ ამ ცხოვრებიდან წასვლას აპირებდა, მაგრამ სიცოცხლის სურვილი არ გამქრალა მასში“.

მიუხედავად თავისი მდგომარეობისა, ჯანლუკა უფრო მეტს ფიქრობს სხვებზე, ვიდრე საკუთარ თავზე: ყოველთვის პოულობს სიტყვებს მის სანახავად მოსულ მეგობართა გასამხნევებლად, ამშვიდებს მათ და ცოცხალი სახარება ხდება ყველასთვის. ,,ჯანი ესალმებოდა მეგობრებს და ივიწყებდა საკუთარ თავს, ის ემზადებოდა ამ შეხვედრისათვის. დაავადებამ უფრო დაგვაახლოვა... მასთან ერთად, თავიდან აღმოვაჩინე ყოველდღიური ცხოვრების წვრილმანები, მაგალითად, როცა ერთად ვისხედით დივანზე და ვუყურებდით DVD-ს, ან ერთად ვხვდებოდით ახალი წლის ბოლო ღამეს, ის კი იჯდა, რადგან მოძრაობა უკვე აღარ შეეძლო... ვფიქრობ, სწორედ წვრილმანებია მნიშვნელოვანი ცხოვრებაში, და ჯანმა გვასწავლა ეს მე და ჩემს ოჯახს“, - წერს ფედერიკო თავის წიგნში ,,ჯანლუკა ფირეტი, წმიდანი მეზობლად“.

მიუხედავად იმისა, რომ დაავადება სწრაფად ვითარდება, ტკივილი აუტანელი ხდება, ჯანი მშვიდადაა. ის აგრძელებს ბრძოლას ოჯახისა და მეგობრების მხარდაჭერით. მკურნალობის დროს მას თან ახლდა მღვდელი, დონ მარკო დ'აგოსტინო, რომელსაც თავისი მეგობრის, ვალენტინას, წყალობით შეხვდა. მას გადაუშალა გული, გაანდო თავისი ეჭვები და ფიქრები გარდაცვალების შემდგომ სიცოცხლეზე; მისი თანაავტორობით დაწერა წიგნი ,,გაორებული“ (,,Spaccato in due“), სადაც გადმოსცა თავისი სულიერი განცდები, ბრძოლა დაავადებასთან და თუ როგორ აღმოაჩინა ღმერთი. მამა მარკო გაოცებული იყო ჯანის გამძლეობით, ავადმყოფობასთან მისი შეუპოვარი ბრძოლით, მძიმე ჯვრის ზიდვით. თუმცა მისთვისაც არ იყო ადვილი ამ ტანჯვაში დარჩენა, თავადაც ველარ უძლებდა, როცა სტუმრობდა თავის ახალგაზრდა მეგობარს, მთელი გულით რომ სთხოვდა უფალს შემწეობას.

,,მას შემდეგ, რაც დაავადდა, ჯანმა შეძლო მხნედ ევლო ტკივილით აღსავსე ამ რთულ გზაზე, თავისი ოჯახის, მეგობრების, მღვდლების, ექიმების, მედდებისა და მოხალისეთა სიყვარულის წყალობით... ჯანი სიცოცხლით სავსე ბიჭი იყო, ჩვეულებრივი ბიჭი, საოცრად უბრალო, სუფთა და გულისხმიერი, მას ყველასთან კარგი ურთიერთო-

ბა ჰქონდა სკოლასა და ორატორიუმში, თავის სამრევლოსა თუ სახლში, ის ყველას უყვარდა...", - იხსენებს ფედერიკო. ,,ტანჯვამ სულიერად გაზარდა და განწმიდა იგი, აქცია იმ კლდედ, რომელზედაც შეიძლებოდა დაფუძნება, დაყრდნობა (შდრ. მათე 7, 24-25)", - აღნიშნავს დონ მარკო.

პაპ ფრანცისკესადმი მიწერილ წერილში, 2014 წლის 18 დეკემბერს, იგი წმიდა მამას ატყობინებდა, რომ საავადმყოფოში იმყოფებოდა და ,,იბრძოდა", რომ ცხოვრებამ მას ომში წასვლის საშუალება მისცა. და, მიუხედავად მწუხარებისა და სასოწარკვეთის მძიმე წუთებისა, ყოველდღე, გაღვიძებისთანავე, ის თავიდან იწყებდა ბრძოლას. ამისთვის მას სჭირდებოდა ისეთი იარაღი, როგორიც იყო რწმენა. ამ ბრძოლაში იგი ჩუმად ვარჯიშობდა.

ერთ ღამეს ჯანლუკამ თავის ძმას უთხრა: „ჩვენ ხომ მარადიული სიცოცხლისთვის ვართ შექმნილნი"... იგი ესაუბრება იესოს, გრძნობს, რომ ღმერთს უყვარს და ეხმარება; უკიდურესი დაღლილობისა და ტანჯვის მომენტებში ჯანი მიმართავს მას არა განკურნების თხოვნით, არამედ თხოვნით, რომ შეეწიოს მას ჯვრის ზიდვაში: „თუ შეგიძლია, აიღე სანახევროდ ჩემი ჯვარი, რადგან ძალიან მძიმეა ჩემთვის".



ჯანლუკას მდგომარეობა დღითიდღე უარესდება, სიცოცხლის წყურვილი კი იზრდება მასში, თუმცა ხვდება, რომ ახლოსაა აღსასრული. „მამაო, ვკვდები. რა მელოდება? როგორი იქნება ჩემი საზღაური? მელოდება კი იესო?" - ეკითხება იგი დონ აგოსტინოს. მამა მარკო იხსენებს: „ჯანლუკა მგზნებარე და მოსიყვარულე ახალგაზრდა იყო. იგი ყოველი წუთით ცხოვრობდა. ჩემთვის ის იყო შვილი, ძმა, მეგობარი. მასთან შეხვედრა „სახარების გადაფურცვლას" ჰგავდა, ის დაუბრუნდა უფალს, რომელმაც მისი თავი გვაჩუქა".

2015 წლის 24 იანვარს ჯანლუკა საავადმყოფოში გადაიყვანეს. მას უკვე მოძრაობა აღარ შეეძლო, სუნთქვაც უჭირდა, მაგრამ გულს არ იტეხდა, გაწამებული და გატანჯული, მაინც ახერხებდა მოესმინა მის სანახავად მოსული ადამიანებისთვის. მალე მისი პალატა ტკივილისა და სიკვდილის ადგილიდან შეხვედრებისა და ლოცვის ადგილად იქცა, თავად ჯანლუკა კი ყველასთვის ენერგიისა და სინათლის წყაროდ. იგი სუსტი ხმით უმეორებს თითოეულ მეგობარს: „გთხოვთ, გევედრებით, ამაოდ ნუ დაკარგავთ დროს, თქვენი ცხოვრების წლებს, ისწავლეთ... ხუთას გვერდს დავიზეპირებდი, ოღონდ არ ვიტანჯებოდე". მისი მეგობარი ვალენტინა იხსენებს: „ჯანი მართლაც განსაკუთრებული ახალგაზრდა იყო, მორწმუნე. რაც უფრო მეტად ერეოდა მას ავადმყოფობა, მით უფრო ნათელი ეფინებოდა მის სულს".

ჯანი, როგორც მას მეგობრები და ახლობლები ეძახდნენ, 2015 წლის 30 იანვარს გარდაიცვალა კრემონის ჰოსპიტალში, ოცი წლის ასაკში. მან სამყარო დატოვა უფლისადმი რწმენითა და ნდობით სავსე ლამაზი მოწმეობით. ჯანლუკა თავისი წიგნის შესავალში წერს: „ამ წიგნში თქვენ ყველა გვერდზე მიპოვნით. და მეც გიპოვნით. ვგრძნობ, რომ ღმერთში ჩვენ უკვე ერთნი ვართ, და სწორედ რომ ასეა".

ჯანლუკა ფირეტი განისვენებს სოსპიროს ქალაქის სასაფლაოზე. მისი ხანმოკლე ცხოვრება მოწმობს, რომ ,,ჯვარი, ტკივილი, სიკვდილი" არის არა უსაზღვრო მწუხარების სიტყვები, არამედ იმედისა და სიცოცხლის კარი. მან ყველა კარი სათუთად გახსნა. რწმენის გასაღები და მისი ოჯახის, ქრისტიანული საზოგადოების, მისი მეგობრების სიძლიერე ოსტეოსარკომაზე ძლიერი აღმოჩნდა. ჯანი ცოცხალია ქრისტეში და ჩვენში.

კონფერენცია კათოლიკური მისიების შესახებ

მიმდინარე წლის 10 სექტემბრიდან 13 სექტემბრამდე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია: „კათოლიკურ მისიათა მემკვიდრეობა — რელიგიური დაყოფა და კავშირები მე-18-19 საუკუნეების საქართველოში“, სადაც წარმოდგენილი იყო შედეგები, მოპოვებული წლების განმავლობაში კვლევითი ჯგუფის მიერ, რომელსაც პროფესორი ნინო დობორჯგინიძე ხელმძღვანელობს. თავად ამ რამდენიმეწლიანი, ფართო კვლევითი პროექტის სახელწოდებაა: „მე-17-19 საუკუნეების ევროპული რელიგიური მისიების წყაროთა ინტერპრეტაციისათვის. საქართველო ადრეული გლობალური ისტორიისა და მოდერნულობის პერსპექტივიდან“, რომელიც ხორციელდება შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით.

კონფერენციის გახსნისას, ჯგუფის კვლევათა შედეგები და გეგმები მსმენელებს წარუდგინა უნივერსიტეტის რექტორმა, ნინო დობორჯგინიძემ, რომელმაც მისასალმებელი სიტყვა გადასცა კათოლიკე ეკლესიის სამოციქულო ადმინისტრატორს საქართველოში, ეპისკოპოს ჯუზეპე პაზოტოს. მან საგანგებოდ აღნიშნა ის საქმიანობა, რასაც კათოლიკე მისიონერები ეწეოდნენ ქართული საჯარო ცხოვრებისა და განათლებამედიცინის გასავითარებლად სხვადასხვა დროს. კონფერენციის მუშაობას, ასევე, მიესალმნენ: ეპისკოპოსის ვიკარიუსი, მამა გაბრიელე ბრაგანტინი; მამა აკაკი ჭელიძე, სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის რექტორი; მამა გიორგი წეროძე; მთავარეპისკოპოსი, პროფესორი მალხაზ სონღულაშვილი; პროფესორები: თამარ გრძელიძე, საქართველოს ყოფილი ელჩი წმიდა საყდართან; არჩილ მეტრეველი, რელიგიის თავისუფლების ინსტიტუტის დირექტორი; მერაბ ღაღანიძე.

შემდგომ, მკვლევრებმა - სხვადასხვა უნივერსიტეტიდან თუ კვლევითი დაწესებულებიდან - წარმოადგინეს მოხსენებები, რომლებშიც განხილული იყო წმიდა საყდრის ურთიერთობა საქართველოსთან მე-18-19 საუკუნეების განმავლობაში ან საქართველოში ამ დროს მოღვაწე კათოლიკეთა — ქართველებისა თუ უცხოელების — ცხოვრება და საქმიანობა: დავით თინიკაშვილმა იმსჯელა ქართული ეკლესიისა და სახელმწიფოს დამოკიდებულების შესახებ კათოლიკური სარწმუნოების მიმართ; მერაბ ღაღანიძემ გააშუქა სულხან-საბა ორბელიანის ურთიერთობა პაპთან, განსაკუთრებით, მისი რომში ყოფნისას; მანანა ჯავახიშვილმა წარმოაჩინა მონტობანის ქართველ კათოლიკეთა მონასტერი; თეა თათენაშვილი შეეხო სტამბოლის ქართული კათოლიკური მონასტრის ისტორიას; ნუგზარ პაპუაშვილმა აღწერა კათოლიკე აღსაზრდელის, პეტრე კიკნაძის, ხანმოკლე ცხოვრება და მისი უკანასკნელი დღეები ბენედიქტელთა მონასტერში, გერმანიაში; თამარ ცოფურაშვილმა და ანა ლომიძემ განიხილეს ანტონ პირველის ფილოსოფიური შემოქმედების კათოლიკური წყაროები; ლია ქაროსანიძემ გამოთქვა თავისი თვალსაზრისი პირველი ქართული ნაბეჭდი წიგნის, ქართულ-იტალიური ლექსიკონის, წყაროების შესახებ; ანა ჭკუასელმა მიმოიხილა კათოლიკურ მისიათა ლექსიკოგრაფიული მემკვიდრეობა; მაია დამენიამ წარმოადგინა კათოლიკური მისიების პროსოპოგრაფიული ბაზა, რომელზეც ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა (აღსანიშნავია, რომ პროექტის მონაწილე ამ ორმა ახალგაზრდა მკვლევარმა ცოტა ხნის წინათ დაიცვა სადოქტორო ნაშრომები კათოლიკური მისიების შესახებ საქართველოში).

კონფერენციის მუშაობა შეაჯამა ნინო დობორჯგინიძემ მოხსენებით მე-17-19 საუკუნეთა კათოლიკური მისიების წყაროთა ინტერპრეტაციის შესახებ.

სკაუტთა მოსამზადებელი ბანაკი

2-5 აგვისტოს, საქართველოს კათოლიკე ახალგაზრდების ცენტრის ორგანიზებით, ჩატარდა სკაუტთა მოსამზადებელი ბანაკი, რომელიც საფუძველს ჩაუყრის სკაუტიზმს საქართველოში. ბანაკი ჩატარდა სამხრეთის დეკანატის ფარგლებში. მსვლელობა დაიწყო სოფელ უდის კათოლიკური ეკლესიიდან და დასრულდა უდის მთის კათოლიკურ ეკლესიაში.

ბანაკის პირველ დღეს ჯგუფი გადაადგილდა უდის ეკლესიიდან თრიალას ტბის მიმართულებით. დღის განმავლობაში მონაწილეებს ჩაუტარდათ სამთო ინსტრუქტაჟები.

ბანაკის მეორე დღეს მსვლელობა დაიწყო თრიალას ტბიდან, ჯგუფი შეჩერდა კოტატბასთან, სადაც მონაწილეებმა ერთობლივი ძალებით აღმართეს ჯვარი; მსვლელობა დასრულდა არლის მთაში.

ბანაკის მესამე დღეს ჯგუფი გადაადგილდა არლის მთიდან უდის მთისაკენ. ჯგუფის წევრებმა, ადგილობრივებთან ერთად, მონაწილეობა მიიღეს წმიდა წირვაში. შემდეგ კი აქაური ბავშვებისათვის მოეწყო გრესტის სახის საინტერესო და გასართობი საღამო.

ბანაკის მეოთხე დღეს მსვლელობა დასრულდა უდის მთაში. ამ დღეს აღინიშნებოდა ,,თოვლის ღვთისმშობლის“ ეკლესიის დღესასწაული. სკაუტური ბანაკის წევრებმა მონაწილეობა მიიღეს სადღესასწაულო წმიდა წირვაში.

ყოველი დღის განმავლობაში ბანაკის მონაწილეები გადიოდნენ სამთო პირობების ინსტრუქტაჟებს, ლოცულობდნენ და ივითარებდნენ ჯგუფურობის, ერთმანეთთან კომუნიკაციისა და სკაუტური წესებით ცხოვრების უნარებს.

უღრმესი მადლობა ყოველ ახალგაზრდას, რომელიც ჩაერთო სკაუტთა მოსამზადებელ ბანაკში და ყოველ მოძღვარს, რომელმაც მხარი დაუჭირა და დაეხმარა ახალგაზრდებს ბანაკის განმავლობაში.

ნუგზარ ბარდაველიძე

რეპრესირებულ მღვდელთა ხსოვნის უკვდავყოფა



გასული საუკუნის 30-იან წლებში შექმნილი საკავშირო ორგანიზაცია „მებრძოლი უღმერთოს“ მიერ მომზადებული სააგიტაციო ანტირელიგიური პლაკატი. აი, ამგვარი პროპაგანდით განაწყობდნენ ფართო მასებს რელიგიისა და მღვდელმსახურთა წინააღმდეგ.

1921 წელს საბჭოთა რუსეთის მიერ განხორციელებული ოკუპაცია-ანექსიისა და 1922 წელს საბჭოთა კავშირში საქართველოს იძულებითი გაერთიანების შემდგომ ეკლესიები (რელიგიური გაერთიანებები), სასულიერო პირები და მრევლის აქტიური ნაწილი ბოლშევიკური სახელმწიფოს მხრიდან განიცდიდნენ გეგმაზომიერ, დროში განგრძობად რეპრესიებს, რამაც 1936-38 წლების „დიდი ტერორის“ დროს პიკს მიაღწია. ანტირელიგიური მასობრივი კამპანიისას აბსოლუტურად ყველა რელიგიურმა გაერთიანებამ იწვნია სახელმწიფოს მხრიდან უმძიმესი ფიზიკური, მატერიალური, მორალური ზეწოლა. დაიხურა ეკლესიები, მონასტრები, სამლოცველო სახლები, სასულიერო პირთა უდიდესი ნაწილი ჩამოაშორეს ღვთისმსახურებას: ზოგი დააპატიმრეს, ზოგიც გადაასახლეს, შედარებით სუსტი ნებისყოფის სასულიერო პირები აიძულეს თავი დაენებებინათ მსახურებისათვის და სამოქალაქო საქმიანობით დაკავებულიყვნენ. რეპრესიებს განიცდიდნენ მათი ოჯახის წევრებიც. ცხადია, რაოდენობრივი თვალსაზრისით, ყველაზე მეტი სატაძრო ნაგებობა საქართველოს მართლმადიდებელ, ასევე სომხურ ეკლესიებს ჩამოერთვა, მაგრამ პროცენტული რაოდენობით ყველაზე მეტად კათოლიკე და მუსლიმური თემი დაზარალდა. 1959-60 წლებში, ხრუშჩოვის ანტირელიგიური კამპანიის დროს კი, მთავარი დარტყმა პროტესტანტებმა, ე.წ. სექტანტებმა, განიცადეს.

საბჭოთა კავშირის მიერ აგორებული ანტიკათოლიკური რეპრესიების შედეგად დაიხურა მოქმედ ტაძართა დიდი უმეტესობა, მთელ სამხრეთ კავკასიაში (აზერბაიჯანის, საქართველოსა და სომხეთის რესპუბლიკები), სადაც ასზე მეტი კათოლიკური სამრევლო და ტაძარი ფუნქციონირებდა, მოქმედი დარჩა მხოლოდ წმიდა მოციქულთა პეტრესა და პავლეს ტაძარი თბილისში. ამასთანავე, საბჭოთა ხელისუფლებამ გააუქმა კათოლიკური წესის სომხური და ასურულ-ქალდეური ეკლესიები და ოფიციალური რეგისტაცია მხოლოდ რომის კათოლიკე ეკლესიას დაუტოვა. ტერმინი „ლათინური წესი“ აღარ გამოი-

ყენებოდა. მხოლოდ საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ, წმიდა საყდრის მხარდაჭერით, შესაძლებელი გახდა საქართველოში კათოლიკური ეკლესიის თავისუფლად ამოქმედება.

ჩვენი სახელმწიფო ზრუნავს სხვადასხვა კონფესიის ნორმალური ფუნქციონირებისათვის, თუმცა სანამ რელიგიების შესახებ კანონი არ იქნება მიღებული, რელიგიური უმცირესობები სრულყოფილი არსებობისათვის სხვადასხვა სახის წინააღმდეგობას მაინც აწყდებიან. ამ პრობლემათა ნაწილობრივი გადაწყვეტისათვის საქართველოს სახელმწიფომ დაიწყო ეროვნულ-სახელმწიფოებრივი პროექტი, რაც გულისხმობს ეროვნული გამოცდილებისა და თანამედროვეობის მოთხოვნების საფუძველზე მწყობრი რელიგიური პოლიტიკის ჩამოყალიბებას, რამაც ქვეყანას უნდა დაუბრუნოს თავისი კუთვნილი ადგილი თანამედროვე ცივილიზებულ სამყაროში. ამ მიზნის განხორციელებისათვის აუცილებელი გახდა, სახელმწიფოს ინიციატივით და კვალიფიციურ ექსპერტთა და მეცნიერთა თანამონაწილეობით, დაეფუძნებინათ სპეციალური ინსტიტუტი (რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო), რომელიც, ისტორიული გამოცდილებისა და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების გათვალისწინებით, პროფესიული კვლევისა და მეცნიერული ანალიზის საფუძველზე შეიმუშავებს რეკომენდაციებს რელიგიის სფეროში თანამედროვეობის გამოწვევების შესაბამისად.

რელიგიების სახელმწიფო სააგენტოს თაოსნობით წლებია სხვადასხვა პროექტი ხორციელდება. მიმდინარე წლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინიციატივა კი გახლავთ საბჭოთა ანტირელიგიური პოლიტიკის შედეგად რეპრესირებულ სასულიერო პირთა მემორიალური წიგნ-ალბომის გამოცემა. ამ ნაშრომში თავმოყრილი იქნება საქართველოში მოქმედი ყველა რელიგიური კონფესიის წარმომადგენელი სასულიერო პირის შესახებ სხვადასხვა არქივებში, მათ შორის, საიდუმლო ფონდებში, დაცული დოკუმენტური მასალების დამუშავება, თავმოყრა და ფართო საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომად გამოცემა. წლის მანძილზე რელიგიების სახელმწიფო სააგენტოს სპეციალისტების მიერ შინსახკომის, სახელმწიფო უშიშროებისა და კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის არქივებში მოიძებნა და დამუშავდა უამრავი დოკუმენტი, რომელიც რელიგიური მოტივით რეპრესირებულ პირებს შეეხებოდა. ჯერჯერობით 1000 გვერდზე მეტი მოცულობის დოკუმენტია დამუშავებული და ახლა სხვადასხვა რელიგიური კონფესიის წარმომადგენლებთან მიმდინარეობს სამუშაო კონსულტაციები.

მოგაწვდით მცირე ინფორმაციას კათოლიკე მღვდელმსახურების შესახებ დოკუმენტური მასალების საფუძველზე. არქივებში მოძიებულია ცნობები რამდენიმე ათეული სასულიერო პირის, ლათინური წესის ეთნიკურად ქართველი მღვდლების, ასევე სომხური და ასურული წესის მღვდელმსახურთა შესახებ. აქვე აღვნიშნავ (რათა შემდგომ არ გახდეს გაუგებრობის მიზეზი), რომ მრავალი ქართველი კათოლიკე მღვდელმსახურის შესახებ ინფორმაცია არ მოინახა. როგორც სააგენტოს წარმომადგენლებთან საკონსულტაციო შეხვედრის შედეგად გამოვლინდა, ვინაიდან პროექტი ითვალისწინებდა რელიგიური ნიშნით რეპრესირებულ პირთა შესახებ ნაშრომის შექმნას, ქართველი კათოლიკე მღვდელმსახურები, მათ შორის, საქვეყნოდ ცნობილი მამები: ემანუელ ვარდიძე, კონსტანტინე საფარიშვილი, შიო ბათმანიშვილი და სხვები, რომელთა ღვაწლსა და დევნა-რეპრესიებზე პრესაში, მათ შორის, ჟურნალ ,,საბაში“ არაერთი ინფორმაცია გამოქვეყნებულა, სააგენტოს მიერ მომზადებულ ნაშრომში ვერ მოხვდებიან, იმ სავალალო მიზეზის გამო, რომ საბჭოთა ხელისუფლება და მისი რეპრესიული მანქანა ცდილობდა შედარებით ცნობილი კათოლიკე სამღვდელოება არა რელიგიური ნიშნით, არამედ უფრო მძიმე, სახელმწიფო ღალატის, უცხოეთის ჯაშუშობის მუხლით გაესამართლებინა. ამიტომ სახელმწიფო არქივებში, სადაც რელიგიური მუხლით გასამართლებულ პირთა შესახებ მოიპოვება დოკუმენტები, ჩვენთვის ცნობილი და სასიქადული კათოლიკე მამების თაობაზე ინფორმაცია არ აღმოჩნდა და პროექტიც, თავისი პროფილიდან გამომდინარე, ზღუდავს არარელიგიური მუხლით გასამართლებულ სასულიერო პირთა შესახებ კრებულში მასალების გამოქვეყნებას.

რელიგიების სახელმწიფო სააგენტოს ხელმძღვანელთან, ბატონ ზაზა ვაშაყმაძესთან, შეხვედრის შემდგომ, როდესაც მას არსებული სიტუაცია გავაცანი და შევთავაზე კათოლიკე სასულიერო პირთა სრული სიის გამოქვეყნება, შევთანხმდით, რომ სააგენტოს ახალ პროექტში გათვალისწინებული იქნება ეს სურვილი, რათა მომავალი თაობებისათვის უკვდავყოფილი იყოს სხვადასხვა მძიმე მუხლით რეპრესირებულ კათოლიკე მღვდელმსახურთა ხსოვნა, მით უფრო, რომ ისინი ქვეყნის, კათოლიკე ეკლესიისა და ადგილობრივი მრევლის კეთილდღეობისათვის იღვწოდნენ.

ფრანცისკელთა რეცეპტები "როჩია რუსტიკა"

უმბრიული სამზარეულო, ისევე როგორც ამ მიწის მთელი ისტორია, ინახავს წმიდა ფრანცისკეს (მოხსენიების დღეა 4 ოქტომბერი) ხსოვნას, მის სულიერებასა და ცხოვრებას. აქ შეგიძლიათ გემო გაუსინჯოთ იმ კერძებს, რომლებსაც ალბათ მიირთმევდნენ ასიზელი წმიდანი და მისი თანამოძმენი.

„როჩია რუსტიკა" (Roccia Rustica), უძველესი პური, რომლის ცომი გაჯერებულია გახეხილი უმბრიული პეკორინოთი (Pecorino - იტალიური მაგარი ყველი, რომელიც ცხვრის რძისგან მზადდება), კარგადაა ცნობილი უმბრიაში. წმიდა ფრანცისკეს დროს ასეთი ,,ფარშირებული" პური იშვიათი არ იყო ქალაქის მდიდარ მცხოვრებთა და მიწათმფლობელთა სუფრაზე. უბრალო გლეხებმაც კი იცოდნენ მისი გემო, რადგან სხვადასხვა დღესასწაულზე აცხობდნენ. სუბაზიოს მთის (Monte Subasio - მთა აპენინებში, უმბრიაში; მის ფერდობებზე მდებარეობს უძველესი ქალაქი ასიზი) ქვემოთ მდებარე სოფლის ტრადიციების მიხედვით, ამ პურს ამზადებდნენ მიწათმფლობელთა სახლებში. ეს უკანასკნელნი საუზმეზე სთავაზობდნენ მას თავიანთ ფერმერებს, რომლებიც მიირთმევდნენ პურს ადგილობრივი წარმოების ძეხვთან და კარგ უმბრიულ წითელ ღვინოსთან ერთად.

ინგრედიენტები:

500 გრ. ფქვილი
200 გრ. გახეხილი მაგარი ყველი
2 სუფრის კოვზი ზეითუნის ზეთი
5 გრ. მარილი
100 გრ. საფუარი (შეგიძლიათ გამოიყენოთ მშრალი საფუარი)

მომზადების წესი:

ამბობენ, რომ თიხის თასში მოზელილი პური, როგორც ამას აკეთებდნენ შუა საუკუნეებში, განსაკუთრებით გემრიელია. აურიეთ ზემოთ ჩამოთვლილი ყველა ინგრედიენტი, შემდეგ თანდათანობით დაუმატეთ თბილი წყალი. ცომი უნდა იყოს რბილი და ელასტიური. მიღებულ მასას დააფარეთ ხელსახოცი და გააჩერეთ ნახევარი საათის განმავლობაში. როცა ცომი ოდნავ ამოვა, მოზილეთ და ისევ ნახევარი საათით დატოვეთ. შემდეგ ამოიღეთ თასიდან, ისევ მოზილეთ და მიეცით ფორმა, ან დიდი ბლითის, რომელსაც ადგილობრივ დიალექტზე ეწოდება arrocciata („ფუნთუშა, ღვეზელი"), ან უბრალო პურის. დააფარეთ ხელსახოცი და გააჩერეთ კიდევ ნახევარი საათი. შემდეგ გამოაცხვეთ 200 გრადუსამდე გახურებულ ღუმელში, დაახლოებით 30-40 წუთის განმავლობაში. როცა გაცივდება, შეგიძლიათ მიიტანოთ სუფრაზე. ამბობენ, წითელ ღვინოს ძალიან უხდებაო, თუცა ეს პური გემრიელი იქნება ნებისმიერ წვნიანთან, ძეხვთან და ჯემთან ერთადაც კი.

წმიდა საყდრის ახალი დესპანი საქართველოში

2024 წლის 20 სექტემბერს საქართველოში წმიდა საყდრის ახალი დესპანი, მონსენიორ ანტე იოზიჩი ჩამოვიდა. არქიეპისკოპოსს აეროპორტში დახვდნენ: წმიდა საყდრის სადესპანოს დიპლომატიური მრჩეველი, მონსენიორ ალექსანდრე რაჰინა; საქართველოში ვატიკანის საელჩოს წარმომადგენლები; ასევე კათოლიკე ეკლესიის ეპისკოპოსი, მეუფე ჯუზეპე პაზოტო; ადმინისტრაციის კანცელარიის გამგე, მამა აკაკი ჭელიძე, საკათედრო ტაძრის წინამძღვარი, მამა ზურაბ კაკაჩიშვილი; წმ. პეტრესა და წმ. პავლე მოციქულთა ტაძრის წინამძღვარი, მამა მაჩეი მამაი და ამავე ტაძრის ვიკარი, მამა მიხეილ სურმავა.

მონსენიორ ანტე იოზიჩი (Ante Jozić) დაიბადა 1967 წლის 16 იანვარს, ხორვატიაში, ტრილში. იგი არის ხორვატიელი პრელატი, ვატიკანის დიპლომატი, საერო და საეკლესიო სამართლის დოქტორი.

2019 წლის 2 თებერვლიდან 28 ოქტომბრის ჩათვლით, სამოციქულო ნუნციუსი იყო კოტ დ'ივუარში.

2020 წლის 21 მაისიდან — 2024 წლის 28 ივნისამდე სამოციქულო ნუნციუსად მსახურებდა ბელორუსიაში.

2024 წლის 2 ივნისიდან კი, პაპ ფრანცისკეს გადაწყვეტილებით, იგი სამოციქულო ნუნციუსად დაინიშნა საქართველოსა და სომხეთში.

საქართველოს ქრისტიანულ კონფესიათა ფორუმი

2024 წლის 16-17 სექტემბერს, საქართველოს ქრისტიანულ კონფესიათა ფორუმის ფარგლებში, კათოლიკე ეკლესიის წარმომადგენლები სტამბოლში მსოფლიო პატრიარქს, ბართოლომეოსს შეხვდნენ. მსოფლიო პატრიარქმა საქართველოს რელიგიათა საბჭოს ქრისტიანული კონფესიების წარმომადგენლები ფანარის საპატრიარქო რეზიდენციაში მიიღო.

ქრისტიანულ კონფესიათა ფორუმი, საქართველოს გაეროს ასოციაციის მხარდაჭერით, ასევე საქართველოს სახალხო დამცველთან, ტოლერანტობის ცენტრთან, ევანგელურ ალიანსთან თანამშრომლობით შედგა. მას სტამბოლში კონსტანტინოპოლის ქართულმა სამრევლომ უმასპინძლა. ღონისძიებას საქართველოს სახალხო დამცველი, ლევან იოსელიანი ესწრებოდა.

16 სექტემბერს ყოვლადუწმიდესმა ბართოლომეოსმა სტუმრები გულთბილად მიიღო საპატრიარქო რეზიდენციაში, მათ მისასალმებელი სიტყვით მიმართა და ხაზი გაუსვა ქრისტიანულ ეკლესიათა შორის დიალოგის მნიშვნელობასა და აუცილებლობას, მშვიდობისა და ტოლერანტობის განმტკიცებისათვის. ამავე დღეს სტუმრები ეწვივნენ კონსტანტინოპოლის ქართულ სამრევლოს, სადაც მისმა წინამძღვარმა, მსოფლიო საპატრიარქო საყდრის არქიმანდრიტმა ილია ჯინჯოლავამ უმასპინძლა და მთელი დღის განმავლობაში თავისუფალი დისკუსია გაიმართა.

17 სექტემბერს ფორუმის მონაწილეებმა პრინცის კუნძულზე ხალკის თეოლოგიური სკოლა და წმიდა სამების საპატრიარქო მონასტერი მოინახულეს, გაეცნენ ადგილობრივ ისტორიას, დაათვალიერეს ისტორიული ბიბლიოთეკა და სკოლა. ამავე გარემოში გაგრძელდა საინტერესო დისკუსია, გამოითქვა არაერთი იდეა და მეტი ურთიერთთანამშრომლობის სურვილი.

აღნიშნული ფორუმი გაიმართა USAID პროგრამის „ერთიანობა მრავალფეროვნებაშია“ ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს საქართველოს გაეროს ასოციაცია, აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური მხარდაჭერით.

Catholic.ge

განსვენება საუკუნო მიანიჭე მათ, უფალო!

ვარდ არუთიუნიანი
* 25. 04. 1935, ბოგდანოვკა
† 14. 08. 2024, ოზურგეთი

ამირან ზაზაშვილი
* 19. 01. 1952, არალი
† 07. 09. 2024, ახალი სამგორი

ანიკო თუმანიშვილი
* 17. 06. 1939, უდე
† 27. 06. 2024, ახალციხე

თამარა გოზალოვი
* 01. 01. 1946, ვალე
† 07. 09. 2024, ვალე

ნათელა ჩილინგარაშვილი
* 24. 12. 1945, არალი
† 18. 05. 2024, არალი



ფორიშ დათაშვილი
* 18. 03. 1940, ახალქალაქი
† 21. 08. 2024, ვარგავი



საშა გელაშვილი
* 30. 01. 1941, ხიზაბავრა
† 13. 07. 2024, ხიზაბავრა

#საბაუნი

გაცნობებთ, რომ ჩვენი უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებელი გაიხსნა სექტემბერში. თუ სამრევლოებში გყავთ სტუდენტები, რომლებსაც სურთ ისარგებლონ ამ შესაძლებლობით, შეგიძლიათ მიაწოდოთ ეს საკონტაქტო ნომერი: 591 00 13 37 - გიორგი, რომელიც უპასუხებს მათ ყველა კითხვას. საცხოვრებლის ფასები იცვლება ოთახების მიხედვით და თითოეულ საწოლზე გადასახადია მინიმალური თანხა: 265 ლარი, მაქსიმალური კი - 425 ლარი.

მთავარი რედაქტორი: მ. გაბრიელე ბრიგანტინი CSS
სარედაქციო კოლეგია: ნუგზარ ბარდაგელიძე, ვერიკო ნოზაძე, შორენა პარუნაშვილი, მურან ღაღანიძე, ციცინო ხითარიშვილი
ტექნიკური მხარდამჭერი: მღვდ. მიხეილ ხურმაკა, თამარ ხტეფნაძე
მისამართი: ჟურნალ „საბას" რედაქცია, ეკა აბესაძის ქ. №4ა 0105, თბილისი, საქართველო;
E-mail: saba.jurnali@gmail.com; რეგისტრაციის №1853, დაარსდა მანანა ანდრიაძის მიერ 1995 წელს, © „საბა"

ISSN 2720-8001